აფხაზეთის ავტონომური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს

2022 წლის ანგარიში
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 49-ე მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის თავისუფლების შესახებ

2022 წლის საანგარიშო პერიოდში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოსულ 2 განცხადებას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ პასუხი გაეცა კანონმდებლობით დადგენილ ვადებში.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს გააჩნია მონაცემთა ბაზა, რომელიც შეიცავს სამინისტროს თანამშრომელთა პერსონალურ მონაცემებს და მათზე წვდომა გააჩნიათ უწყების შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს მათი კომპეტენციის ფარგლებში. ამასთან, საანგარიშო პერიოდში საჯარო დაწესებულების მიერ პერსონალური მონაცემების სხვისთვის გადაცემა არ მომხდარა.

საანგარიშო პერიოდში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლისკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში დასაქმებულთა მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი მოთხოვნების დარღვევისა და პასუხისმგებელ პირებზე შესაბამისი დისციპლინური სახდელის დადების ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

საანგარიშო პერიოდში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლისკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარი არ უთქვამს, ასევე არ მომხდარა კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვა.

საანგარიშო პერიოდში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ ინფორმაციის დამუშავებისა და გაცემის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა.